

არჩევნების შედეგები გურიის (ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური) №60/ 24 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში

მაჟორიტარული არჩევნების შედეგები

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში №24/60 (ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური) საარჩევნო ოლქში 107 948 ამომრჩეველი იყო. მათიან საარჩევნო სიაში, საიდანაც 55 948 მანდალი და 52 076 კაცი.

არჩევნები გაიმართა 142 საარჩევნო უბანზე. მარტივად აღავსებულ იყო 11 უბანი, ხოლო კანდუნიანი - 36 უბანი. თავიანთი საარჩევნო უბანზე გამოცხადდა 65 905 ალამიანი.

პროპორციული არჩევნების შედეგები

(8 პარტია და საარჩევნო ბლოკი, რომლებმაც გადალახეს 1 %-იანი ბარიერი)

№41. „ქართული ოცნება—დემოკრატიული საქართველო“.

მიღებული ხმების რაოდენობა 34 919 (54,85 %);

№5. საარჩევნო ოლქი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია.“ მიღებული ხმების რაოდენობა 13 301 (20,89 %);

№2. „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია — ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისათვის. მიღებული ხმების რაოდენობა 3 239 (5,38%);

№8. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი -საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ მიღებული ხმების რაოდენობა 2243 (3,52 %);

№56. „ლელო-მამუკა ხაზარაძე“. მიღებული ხმების რაოდენობა 1796 (2,82%);

№36. „გირჩი“. მიღებული ხმების რაოდენობა 803 (1,26 %);

№10. შალვა ნათელაშვილი -საქართველოს ლეიბორისტული პარტია. მიღებული ხმების რაოდენობა 685 (1. 08 %).

№41. ვასილ ჩიგოგიძე „ქართული ოცნება—დემოკრატიული საქართველო“.

მიღებული ხმების რაოდენობა 35 287 (55,76 %);

№5. მანუჩარ კვიციანი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია.“ მიღებული ხმების რაოდენობა 13 861 (21,9 %);

№2. „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია — ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისათვის.

მიღებული ხმების რაოდენობა 3 694 (5,84%);

№8. შოთა გოგიბერიძე „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი -საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ მიღებული ხმების რაოდენობა 2592 (4,1%);

№19. ნინო შეწირული-გობრონიძე. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი საქართველო-სოლიდარობის ალიანსი“ მიღებული ხმების რაოდენობა - 2198 (3,47 %);

№56. გიორგი სიორიძე „ლელო-მამუკა ხაზარაძე“.

მიღებული ხმების რაოდენობა 2137 (3,38 %);

№10. დავით მამალაძე შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია. მიღებული ხმების რაოდენობა 644 (1. 02 %).

№24. ოთარ ქერქაძე „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“. მიღებული ხმების რაოდენობა 625 (0,99%);

№36. ვახტანგ ზენაიშვილი, „გირჩი“. მიღებული ხმების რაოდენობა 616 (0,97%);

№44 ლაშა ხეცურიანი , „ლევიან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი —ქართული იდეა“ მიღებული ხმების რაოდენობა 469 (0,74 %).

№26 ნინო ორაგველიძე —ეკა ბესელია —პ.

„სამართლიანობისათვის. მიღებული ხმების რაოდენობა 424 (0,67 %).

№61 გოჩა ძიმისტარიშვილი დამოუკიდებელი.

მიღებული ხმების რაოდენობა 384 (0,61 %).

№55. რამაზ ზოიძე . „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“ მიღებული ხმების რაოდენობა 228 (0,36 %).

№30 მაკა მგალობრიშვილი. „შეცვალე საქართველო“ მიღებული ხმების რაოდენობა 126 (0,2 %).



ა ლ ი ო ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .

ყოველკვირეული გამოშვება. № 32 (10366) 9 ნოემბერი 2020 წ. შპსი 60 თეთრი.

გაზეთი გამოდის
1931 წლის 5 იანვრიდან

საქართველოს პარლამენტის არჩევნების №24/60 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ვასილ ჩიგოგიძემ გაიმარჯვა



საქართველოს პარლამენტის არჩევნების №24 მაჟორიტარულ ოლქში (ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები) პირველსავე ტურში დამაჯერებლად მოიგო „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატმა ვასილ ჩიგოგიძემ.

მან 35 287 ხმა (ხმების 55,66 %) დააგროვა და 21 426 ხმით აჯობა მეორე ადგილზე გასულ საარჩევნო ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ კანდიდატს მანუჩარ კვიციანს.

ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიამ საიას საჩივრები დააკმაყოფილა

ალიონი. ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიაში ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საჩივრების განხილვა, რომელსაც საოლქო-საარჩევნო კომისიის წევრების გარდა, საიას, პარტიების, მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საჩივრების განხილვას ესწრებოდნენ ეუთოს (ODIHR) სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიანი დამკვირვებლები ბორნ ტედემანი და მამუ პულსენი.

კომისიის სხდომებზე განხილული საჩივრიდან, რომლებიც ეხებოდა საარჩევნო უბანში პროცედურულ დარღვევებს და შემაჯამებელ ოქმებს, უმეტეს მათგანს არ ახლდა შესაბამისი მტკიცებულებები. როგორც სხდომაზე აღინიშნა, მათში დარღვევის არსი და მოთხოვნა არ იყო სწორად ფორმულირებული, რის გამოც კომისიამ საჩივრებში წარმოდგენილი მოთხოვნები არ დააკმაყოფილა.

გარდა ამისა, პარტიათა მიერ საოლქო კომისიაში წარგენილი შეტანილ საჩივრებს არ ახლდა თავიანთი პარტიების რწმუნებულება, რის გამოც ეს საჩივრები განხილვას არ დაექვემდებარა.

2 ნოემბრის სხდომაზე საოლქო-საარჩევნო კომისიამ დააკმაყოფილა **ხათუნა მკურნალიძის** მიერ წარმოდგენილ



საჩივარი, რომელიც №24/60-52-ე დიმიტის საარჩევნო უბანზე მომხდარ ფაქტს ეხებოდა. ამ საჩივრის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მოქალაქემ, რომელიც შეყვანილი იყო გადასატანი ყუთის სიაში, საარჩევნო უბანში მისცა ხმა. მიუხედავად იმისა, კედლის სიაშიც აღნიშნული იყო ფაქტობრივი მდგომარეობა, მაგრამ ფაქტობრივი მდგომარეობა არ იყო შეტანილი სამაგიდე სიაში.

კომისიამ №24/60/52 უბნის კომისიის თავმჯდომარეს აღნიშნულის გამო შენიშვნა მისცა.

საოლქო-საარჩევნო კომი-

სიამ 4 ნოემბრის სხდომაზე საქართველოს ახლგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ წარმოდგენილი საჩივრები კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში დაფიქსირებული დარღვევების შესახებ, განიხილა (წარმომადგენლები თამაზ ტრაპაიძე, ქეთევან თოიძე).

საჩივრის მიხედვით ოზურგეთის №24/60 საარჩევნო ოლქის ბოხაურის №23 საუბნო-საარჩევნო კომისიის პროცედურული სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში №2 საარჩევნო სუბექტის გასწვრივ ერთეულების ციფრი გადასწორებული იყო, ასევე გადასწორებული იყო

ბათილად მიჩნეული ბიულეტენების რაოდენობა. შემაჯამებელ ოქმს არ ახლდა შესწორების ოქმი.

საოლქო-საარჩევნო კომისიამ დააკმაყოფილა საიას საჩივრი და დასახელებული უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისთვის, გააფრთხილება მისცა.

მსგავსი დარღვევა იყო №32 ლიხაურის მეორე საუბნო-საარჩევნო კომისიაში. აქ №8 საარჩევნო სუბექტის (დავით თარხან მოურავი, ირმა

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთერ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
 - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.**

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორიზაციის შემთხვევაში ახსნა ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
 რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani@rambler.ru
 558 499100
 საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
 tem52@mail.ru
 599 373515
 კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩმაბათი აციონზე
 «ალიონით»

სამართაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საპარლამენტო არჩევნების შესახებ



2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს ეუთოს (ODIHR) სადამკვირვებლო მისია ესწრებოდა. 24/60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქში აღნიშნული მისიის გრძელვადიანი დამკვირვებლები ბორნ ტელმანი და მამუ პულსენი იმყოფებოდნენ. ისინი გაზეთ „ალიონის“ რედაქციასაც ესტუმრნენ და მედიის ჩართულობის შესახებ ჩვენი მოსაზრება მოისმინეს.

5 ნოემბერს, ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიაში პოლიტიკური სუბიექტების და საიას საჩივრების განხილვის შემდეგ ბორნ ტელმანი საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის წინასწარი დასკვნები გადმოგვცა 31 ოქტომბრის არჩევნების შესახებ. ვთავაზობთ ამ მოხსენებიდან მნიშვნელოვან ამონარიდებს:

„31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები კონკურენტულ გარემოში და ზოგადად ძირითადი თავისუფლების დაცვით ჩატარდა. ამის მიუხედავად, ამომრჩევლებზე ზეწოლის შესახებ ფართოდ გავრცელებული ბრალდებები და მმართველ პარტიასა და სახ-

და პლურალისტური მედია უაღრესად პოლარიზებული იყო, ანალიტიკური ჟურნალისტიკა და პოლიტიკიდან გამომდინარე დისკუსია ნაკლებად ფიქსირდებოდა, რაც ხელს უშლიდა ამომრჩევლების მიერ სრულად ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას. ჩვენს მიერ მონახულებულ მცირე რაოდენობის საარჩევნო უბნებზე პროცედურებს ძირითადად იცავდნენ, თუმცა ადგილზე პარტიებიდან აფილირებული სადამკვირვებლო ჯგუფების დიდი რაოდენობით კონცენტრირება, რომლებიც დრო და დრო პროცესში ერეოდნენ, საარჩევნო უბნებზე ხალხმრავლობას განაპირობებდა.“-წერია წინასწარი დასკვნების შესავალში.

ეუთო წინასწარ დასკვნაში წერს, რომ „საარჩევნო კამპანიის დროს ფუნდამენტური თავისუფლებები ძირითადად დაცული იყო; კამპანია მთლიანობაში კონკურენტული ხასიათის იყო, თუმცა პარტიების მხარდამჭერების და საჯარო სექტორში დასაქმებულების დამინების შესახებ ცნობები ფართოდ გავრცელებულია; ბევრი ოპოზიციური პარტიის განცხადებით, მათი მხარდამჭერები და პერსონალი პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა; გარდა ამისა, გავრცელდა ინფორმაცია რამდენიმე ძალადობრივი ინციდენტის შესახებ. მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის საზღვარი ხშირად ბუნდოვანი იყო, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგებოდა. საარჩევნო კამპანიის პერიოდში არსებითი საკითხების განხილვა ნაკლებად ხდებოდა. გარდა ამისა, საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ შენიშნა, რომ კანონმდებლობის კონკრეტული ასპექტები და წინასაარჩევნო კამპანიის პრაქტიკა,

შედარებით ახალი და მცირე პარტიების საზიანოდ, უპირატესობას უკვე დამკვიდრებულ პოლიტიკურ პარტიებს ანიჭებდა.“

საინტერესოა ეუთოს სადამკვირვებლო მისიის წინასწარი დასკვნა მედია გარემოს მონიტორინგთან დაკავშირებით:

„მრავალფეროვანი და პლურალისტური მედია გარემო პოლიტიკურ მიმართულებებს და ბიზნეს ინტერესებს შორის იყო პოლარიზებული. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიერ განხორციელებული მედია მონიტორინგის ანგარიშმა აჩვენა, რომ მონიტორინგს დაქვემდებარებული ყველა კერძო მაუწყებელი შესაძლებელია მიკერძოებული იყო. სამაუწყებლო მედიას მნიშვნელოვანი ოდენობის უფასო საეთერო დროის გამოყოფა და მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლებების მქონე პარტიების დებატებზე მოწვევა ევალებოდათ. იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლება არ ჰქონდათ, გაცილებით უფრო ნაკლები საეთერო დრო დაეთმო და ისიც მხოლოდ საზოგადოებრივ მედია საშუალებებში, რაც მათ არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა. გარდა ამისა, კონკრეტული პროგრამების და პოლიტიკური მიმართულებების შესახებ დისკუსიების, ნამდვილი საგამოძიო პროგრამებისა და ანალიტიკური ჟურნალისტიკის არ არსებობის პირობებში და იმის გათვალისწინებით, რომ ძირითად პოლიტიკურ პარტიებს შორის რამდენიმე დებატი გაიმართა, ამომრჩევლების მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალება შეზღუდული იყო.“-წერია წინასწარ დასკვნაში.

კახა ასკურავას საჩივრის ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბერდია ლომიძე პასუხობს



ალიონი. 4 ნოემბერს, საღამოს 8 საათისათვის, სხდომის დაწყების წინ №24/60 ოზურგეთის ოზურგეთის საარჩევნო ოლქის ოფისის წინ ხმაური იყო. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლანჩხუთის ორგანიზაციის თავმჯდომარე კახა ასკურავა საოლქო-საარჩევნო კომისიისაგან კომისიის სხდომის ოქმის დაგვიანებით გადაცემას აპროტესტებდა.

– გუშინ გამართულ საოლქო-საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ოქმს ვითხოვთ, უნდა გავასაჩივროთ, მაგრამ ამ დრომდე არ გადმოგვცეს. ახლა დამირეკეს და მეუბნებიან, ოქმი მოიკითხო, როცა ოქმის გადმოცემის თარიღი გუშინდელია, ანუ გასაჩივრების ვადასაც არ გვაძლევს. ასე უნაბუსოდ და უსირ-

ინარე წლის 4 ნოემბერს №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების მიერ მოწვიბილ პროვოკაციულ ქმედებას და გაკეთებულ შეურაცყოფელ და არაკომპეტენტურ განცხადებებს. მათი ქმედება წარმოადგენს მიზანმიმართულ კამპანიის ნაწილს და მიზანდასახულ საარჩევნო ადმინისტრაციის დისკრედიტაციას და არჩევნების შედეგებისადმი უნდობლობის გაჩენას.

აღნიშნული საარჩევნო სუბიექტის საჩივრები №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად დარჩა განუხილველი გასაჩივრების წესის დარღვევის გამო.

კერძოდ, საარჩევნო კოდექსის 78-ე მუხლის მე-20 პუნქტის თანახმად, საუბრო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემთხვევაში ოქმის გასაჩივრების უფლება აქვს პარტიას ან და პარტიის ხელმძღვანელის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე შესაბამისი პირს და არა შესაბამის საარჩევნო კომისიაში პარტიის წარმომადგენელს იმის გამო, რომ საჩივარს შესაბამისი საფუძვლების არსებობის საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, განუხილველად ტოვებს კომისიის თავმჯდომარე ერთპიროვნულად და არა კომისია, ობიექტურად ვერ მოხდებოდა კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამის საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენ-



ლის მოწვევა საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე.

საგულისხმოა, ამასთან ერთად, რომ რამდენიმე საჩივარი იყო ხარვეზიანი, კერძოდ, საჩივარი წარმოდგენილი იყო 60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში, ხოლო საჩივრის ავტორი საჩივარზე მსჯელობას სთხოვდა სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის (https://sachivrebipi.cec.gov.ge/api/file/DownloadFile...).

მოუწოდებთ აღნიშნული პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს დაიცვან საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნები და ნუ გააკეთებენ საზოგადოების შეცდომაში შემყვან და არასწორი ინფორმაციის შემცველ განცხადებებს.

– „გვინდა გამოვხმაუროთ, მიმდ-



მეშენი მკვი

№5

დანართი მომზადებულია შპს „კახური ტრადიციული მემკვიდრეობის“ ფინანსური მხარდაჭერით

„ჩხაიდის მარნიდან“ შატო „როიალ ასკანა“

სულ მალე, მეღვინეობის მდიდარი ტრადიციების მქონე სოფელ ასკანაში შატო „როიალ ასკანა“ გაიხსნება, რომელიც კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ ააშენა.

ათასეული წლების წინ, ამ ადგილებში, რკინის გადაშენების მესაიდუმლენი და თიხის ნაწარმთა ოსტატები უძველესი ველური ვაზიდან კულტურული მევენახეობის შექმნას ცდილობდნენ. გურიაში, 59 დასახელების ადგილობრივი ვაზისგან, ორ მესამედზე მეტი ხარობდა ასკანის თემში (გვაბრათი, ფინიხვიკარი, ვანისქედი, ოქროსქედი, უკანავა).

აქაური მოსახლეობიდან ბევრს აქვს დღესაც შემორჩენილი ძველ-თაძველი საწნახელები, ბაზმაროს ტყიდან ჩამოტანილი საუკუნოვანი ცაცხვის ხეებიდან გამოთლილი.

მთელ გურიაში იყო ცნობილი ასკანის ციხის ეზოში, მთლიანი ქვისგან გამოთლილი, უსამშველოდ დიდი ზომის საწნახელი.

საკუთრივ ასკანაში, გურიელებს ჰქონდათ გამართული მარანი, რომელიც საერისთავო ჩამონათვალში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქონება იყო.

მე-19 საუკუნის ბოლოს „ასკანის მარანი“ ჩხაიძეთა გვარის ერთ-ერთი ოჯახის მფლობელობაში გადავიდა და იწოდებოდა როგორც „ჩხაიძეების მარანი“, იგივე ანთიმოზ ჩხაიძის მარანი.

ანთიმოზ ჩხაიძის წლის სადღესასწაულო დღეებში თავმჯდომარეობის მოქიფებისთვის, თავისი განსაკუთრებული „სუფრის ათი წესი“ ჰქონდა ჩამოყალიბებული. მათი ოჯახი გამოირჩეოდა მრავალსტუმრიანობით, შრომისმოყვა-

რობით და გურული სიმღერების ცოდნით. უძველესი ქვევრი, რომელიც აღნიშნული მარნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი, 1880 წლით თარიღდება.

დაახლოებით მეოთხედი საუკუნის წინ ასკანელი ზაურ ჩხაიძის ვაჟებმა გოჩამ და ზურაბმა პეტერბურგში პირველი წარმატებული ნაბიჯი გადადგეს ბიზნესში და თავიანთი საქმიანობა ქართულ ღვინოს დაუკავშირეს, რომელიც მსოფლიო ბაზარზე სამი ძმის სახელით (გოჩა, ზურაბ, ჯიმშეთი) მიერ ჩამოყალიბებული კომპანიის – „ასკანელი ძმების“ სახელით გავიდა.

2001 წელს ახალი კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ დაფუძნდა. მისი ძირითადი მიმართულება გახდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გაშენებული უნიკალური ვაზის ჯიშებიდან მაღალი ხარისხის ღვინის, ბრენდისა და ტრადიციული ჭაჭის წარმოება.

ამ კომპანიებისგან წარმოებული ღვინოები ამერიკისა და ევრაზიის კონტინენტზე არაერთ ქვეყანას მიეწოდება.

2000 წლის 30 აგვისტოს სოფელ ასკანაში ჩხაიძეების ძალიან მძიმე ტაძარი გაიხსნა და საფუძველი ჩაეყარა ტრადიციულ სახალხო დღესასწაულს „ასკანობა“.

2014 წელს კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ სოფელ ასკანაში შატო „როიალ ასკანას“ მშენებლობა დაიწყო.

როგორც „გურული ვაზის“ 2015 წლის ნომერში ზურაბ ჩხაიძემ გვითხრა, აქ ღვინის საწარმოს გარდა იქნება ღვინის მუზეუმი, ეთნოგრაფიული კუთხე, სასტუმ-



რო, რესტორანი, სპორტული ბაზა და ა.შ.

კომპანიას წარმატებულ საქმიანობას ეწევა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში 5 000 ტონა წარმადობის ღვინის ქარხანა გახსნეს, რომელსაც „როიალ მუკუნანი“ უწოდეს, ხოლო აჭარაში, დაბა ქედაში თანამედროვე ქარხნის მშენებლობა დაიწყო, სადაც „ჩხაიძეების“ და „ცოლიკოურის“ ღვინოები ჩამოიხსნება.

ამ პერიოდში, „კახურმა ტრადიციულმა მეღვინეობამ“ ძალიან დიდი კამპანია დაიწყო ასოციაცია „გურული ვაზის ასოციაციის“ ერთად და ჯილაურას სანერგე მეურნეობიდან 150 000 ძირი გურული ვაზის უნიკალური ჯიშების ნერგები უფასოდ გადასცეს ოზურგეთელ, ჩოხატაურელ, ლანჩხუთელ

და ქედელ ფერმერებს. ფერმერების უმეტესობამ კარგად მოუარა ამ ნერგებს და დღეს ისინი უკვე „ჩხაიძის“, „საკმიელას“, „ჯანის“ და სხვა ჯიშების ყურძნის მოსავალს იღებენ.

აი, რა განაცხადა „გურული ვაზით“ „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ დამფუძნებელმა ზურაბ ჩხაიძემ:

„გურიას მეღვინეობას დიდი ისტორია აქვს და ალბათ დროული იყო მისი გამოცოცხლება. მივიწყებული ვაზის ჯიშების მოძიება, მისი აღდგენა და გაშენება. ამისთვის კი საჭირო იყო მძლავრი საწარმო, სადაც შეიძლება მათი გადაშენება.“

ეს უნდა ვააკეთოს მარანმა, რომ მივიღოთ მაღალი ხარისხის ღვინო, რომელიც დაკმაყოფილებს საერთაშორისო ბაზარს.

მალე გაიხსნება „როიალ

ასკანა“, სადაც საშუალება გვქმნება გადავაშუაოთ ჩვენი ყურძნის ჯიშები და მივიღოთ სათანადო ღვინო როგორც ცქრიალა, ისე ჩვეულებრივი ღვინოები. შატო მზადაა, ამ ეტაპზე გადავაშუაოს 150 ტონა ყურძენი და ხელი შეუწყოს გურულ მევენახეებს, რომ ჰქონდეთ მათთან მისაღები ყურძენი.

ჩვენ მიერ გურული მევენახეებისა და მეღვინეების მიმართ ხელშეწყობა ესაა ჩემი კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა ჩემი მზარის, ჩემი წინაპრების ფესვების მიმართ.

ჩვენ გურული მევენახეებიდან ყველაზე მაღალ ფასად შევიძენთ ყურძენს, რომ ჩვენ რეგიონში უფრო განვითარდეს მევენახეობა-მეღვინეობა და ეს გახდეს სტიმული გურიაში უძველესი ვაზის ჯიშების აღორძინების დასაწყისი.

ანდრე ვაშალომიძე: „საკმიელა ჩემთვის ელმავალია, ტომელსაც დანატრინი ჯიშებით, ანუ ვაგონებით გურული ვაზის სადგურში შევყავარ“



ვაშალომიძის გვართან ერთი მშვენიერი ლეგენდა ასოცირდება: მტერს შეჭიდებული თამარის ლაშქარიდან ერთი რაინდი ღუმშანს ისე შებრძობებდა, ერთობლივად მიწაზე განურთხია რამდენიმე მეომარი. ამის დამნაშველ ქართველთა მეფეს გვარი უკითხავს რაინდის. ლომიძეაო უთქვამთ. აღტაცებულმა თამარმა უმაღლესსა თურმე: ვაშალომიძეო!

ვაშალომიძეთა ერთ-ერთი წარმომადგენელი ბატონი ანდრე ვაშალომიძე მტერს არ შებმა, მაგრამ ისეთ საქმეს მოჰკიდა ხელი, რასაც როგორც გურიისთვის, ისე მთელი საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ საქმეს, უფრო სწორად ამ მისიას, გურული ვაზის

დაკარგული ჯიშების მოძიება-განახლება ჰქვია, რასაც ბატონმა ანდრემ შესანიშნავად გაართვა თავი.

სხვა მოძიებულ ჯიშებზე რომ არაფერი ვთქვათ, ალბათ საკმიელაც საკმარისი იქნება მისი საქმიანობის ნაღვაწად შესაფასებლად. საკმიელა ხომ დღეს გურული მევენახეობისა და მეღვინეობის სავიზიტო ბარათია. აკი, თვითონაც ხატოვნად გვითხრა: „საკმიელა ჩემთვის ელმავალია, რომელსაც დანატრინი ჯიშებით, ანუ ვაგონებით გურული ვაზის სადგურში შევყავარ“.

ბატონი ანდრე ჩინ-მედლების კაცი არასოდეს ყოფილა, მაგრამ კარგია, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ასოციაცია გურული ვაზის თავიკაცს, გურიის აბორიგენული

ვაზის ჯიშების მოძიებისა და გურიაში მევენახეობის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა.

წინამდებარე წერილის ადრესატს სოფელ შემოქმედში თავის საკარმიდამო ნაკვეთსა და საკოლექციო ნაკვეთში 5 ნომერს ვსტუმრობდით. რასაკვირველია, 15 წლის წინათ მის მიერ წამოწყებულ ამ დიდებულ საქმეს შინაარსობრივად ერთ წერილში ბოლომდე ვერ მოვიცავდით, ამიტომ ამჟამინდელით დავინტერესდით, ამჟამინდელზე გადავიტანეთ აქცენტი.

ანდრე ვაშალომიძე: „საკმიელა ჩემთვის ელმაგალია, ტომელსაც დანაჩინი ჯიშებით, ანუ ვაგონებით გოჭოლი ვაზის სადგურში შეყავან“



გორისფერდში წავიყვანა, სადაც შარშან 6500 კვადრატულ მეტრ საკარმიდამო ნაკვეთზე 1100 ძირი საკმიელა, 300 ძირამდე ჩხავერი და 200 ძირამდე ჯანი ჩაუყვანა. ამ დიდ საკმეში ფინანსები ჩონატაურის მუნიციპალიტეტის შუა ამაღლებაში მცხოვრებ მეღვინე ბიზნესმენს, ბატონ ამირან დოლიძეს ჩაუდია. ნერგების გასარების პროცენტული მაჩვენებელი თითქმის მაქსიმალურია და, რაც მთავარია, ზრდა-განვითარება ნორმის ფარგლებს ზევითაა. ასე რომ, ამირან დოლიძე რამდენიმე წელიწადში გადასამუშავებლად ჩაიბარებს ანდრო ვაშალომიძის მიერ მოწეულ საკმიელას, ჩხავერისა და ჯანის უხვ მოსავალს.

გორისფერდიდან დაბრუნებულ შემდეგ რაც საკოლექციო ნაკვეთში ვნახეთ, იმის 15 წელიწადში შექმნა, ერთი შეხედვით, თითქოს შეუძლებელია, მაგრამ ისეთი კაცის გონებითა და ხელით, როგორც ანდრო ვაშალომიძეა, შეძლებულია.

აქ მღებარეობს პირველი ოთხი ძირი საკმიელა, რომლის „ნაშვილებმა“ შემდეგ თითქმის მთელი გურიის საზრეუ სავარგულები მოიცვა. ჩხავერი, ათინაური, თეთრი ჩხავერი, სხილათუბანი, მტრედისფეხა, ალადასტური, ჭუმუტა, თეთრი კამური, კლარჯული, ორონა, ჯანი, ბადაგი, ხოფათური... — ეს არასრული ჩამონათვალია იმ ჯიშებისა, რომელიც საკოლექციო ნაკვეთში ხარობს, უმეტესობა მსხმოიარობს და მოსავალსაც იძლევა. აქვეა ერთი ახალი ჯიშის, რომელსაც ბატონმა ანდრომ პირობითად დაარქვა აიეტ-ი. როგორც მან გვითხრა, სახელწოდება მოიცავს ასოციაცია გურული ვაზის დამფუძნებლების ინიციალებს. ბოლოს მარანიც მოვინახულეთ, რომლის გაბარიტები აშკარად არ რის საკმარისი ანდრო ვაშალომიძის მიერ მოწეული მოსავლის გადასამუშავებლად და მიღებული პროდუქციის შესანახად. პირადად ჩვენთვის დაუვიწყარია იმ მარნის სურნელი, სადაც ერთობლივად დულდა საკმიელას, კლარჯულის, ჩხავერის, თეთრი ჩხავერის, ჯანის, ბადაგის, მტევანდილის, ალადასტურის, ორონას ჯიშების ყურძნის ნაყური. ბატონი ანდრო ამბობს, რომ გურია არ არის „ადულის“ და „ჭვიშვილის“ სამშობლო, აქ რასაც ხედავთ, მათი სამშობლოა. აქვე დაღვინების პროცესს გადის გურიაში ერთ-ერთი საუკეთესო ღვინო „ანდროული“, რომელსაც იგი ორი ჯიშის — თეთრი კამურისა და ათინაურის ყურძნის თანაბარი ურთიერთშერევით (სეპაჟით) ამზადებს.

ბატონმა ანდრომ ჯერ კლარჯულის ბადაგი გაგვასინჯა, შემდეგ კი შარშანდელი საკმიელათი დაგვლოცა და დაგვალოცვინა ქართული ვაზი და ქართული ვაზის ქვეყანა. სამწუხაროდ, პანდემიის გამო, ქვეყანაში წლეულს არ ჩატარებულა ღვინის არც ერთი ფესტივალი. რომ ჩატარებულიყო, ანდრო ვაშალომიძის კოლექციას აუცილებლად შეემატებოდა რამდენიმე მედალი, ოჯახური ღვინოების წინა ფესტივალებზე მისი ღვინოები ხომ ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები გახდნენ.

ექიმი სტომატოლოგი — მუკენახე და მკლზინე



სოფელ შემოქმედელ ნუგზარ სარჯველაძეს საზოგადოება იცნობს როგორც წარმატებულ ექიმ სტომატოლოგს, მაგრამ ზოგიერთმა შეიძლება არ იცოდეს, რომ ნუგზარი ასევე წარმატებული მევენახე და მეღვინეა, რომელიც მევენახეობა-მეღვინეობის ასოციაცია გურული ვაზის ერთ-ერთი დამფუძნებელი ვაზლავე.

ნუგზარის საკარმიდამო ეზოში ვაზის ნარგაობას 2000 კვადრატულ

უსასსოვრებს. მთლიანობაში, ყველა ჯიშადან 700 ლიტრამდე წვენი მიიღო

უყვარს ღვინის დაძველება. მის მარანში ინახება რამდენიმე წლის წინათ დაშვადებული საკმიელას, და ათინაურის ღვინოები. ღვინოს მამა-პაპური წესით აყენებს. შეიძლება ითქვას, რომ ნუგზარ სარჯველაძის ღვინოები მოსწონს მომხმარებელს, ვისი რაოდენობაც წლითიწლებით იზრდება.



მეტრამდე ფართობი უჭირავს. ვაზნარი გამოირჩევა ჯიშობრივი მრავალფეროვნებით. თეთრყურძნიანებიდან გაშენებული აქვს საკმიელა, ათინაური და თეთრი კამური; წითელყურძნიანებიდან — სხილათუბანი, მტევანდილი და ჯანი; ვარდისფერყურძნიანებიდან — ჩხავერი და ბადაგი.

ამ შემოდგომაზე უხვი როველი ჰქონდა, მარტო საკმიელას 7-წლიანი 19 ძირი ვენახიდან 8010 კილოგრამი ყურძენი მოიწია, რომლისგანაც, როგორც თვითონ ამბობს, საუკეთესო ღვინოს მოამზადებს. ტრადიციას არ დაარღვევს და როგორც წინა წლებში აკეთებდა, წლეულსაც ამ ღვინოს მეგობრებსა და ნაცნობებს აუცილებლად

საკარმიდამოში არსებულ ზვარს შარშან 50 ძირი კამური და 40 ძირი ათინაური შემატა.

ნუგზარს „წარმოე საქართველოში“ გაგზავნილი აქვს პროექტი 25-ათასლარიანი გრანტის მოსაპოვებლად. დაფინანსების შემთხვევაში, გამოყოფილი თანხის ძირითადი ნაწილით აპირებს საკუთარი ღვინის გადამამუშავებელი საწარმოს აგებას და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვას.

ხსენებულ პროექტს გავცვანით, ეს წერილიც ამ პროექტის მოწონების დასტურია. ვიმედოვნებთ, კომპეტენტური ჟიური მწვანე შუქს მისცემს ექიმი მევენახის შემდგომ საქმიანობას.



ვაჭარობით მაღალხარისხიანი გურული ღვინო და სუფრის ყურძენი

გურიაში ისტორიულად, საუკუნეების მანძილზე ძლიერ იყო განვითარებული მევენახეობა და მეღვინეობა, რაზე მეტყველებს ადგილობრივი, ენდემური ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება. აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა გასული საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში აღწერა 420 ვაზის ჯიშის (დღეისათვის აღწერილია 520-ზე მეტი), აქედან გურიაში – 59 (დღეისათვის ცნობილია 64-მდე). ამ მაჩვენებლით ის მეორე ადგილზეა საქართველოში კახეთის შემდეგ (66 ჯიშში), ხოლო გურიის ისტორიული საზღვრების გათვალისწინებით კი – პირველ ადგილზე. მარტო აქედანაც კარგად ჩანს, როგორ იყო განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობა ჩვენს რეგიონში.

დღეს კი, სამწუხაროდ, გარდა ცალკეული კომუნალისებისა, განთქმული უძველესი გურული ვაზის ადგილი უკავიათ დაბალხარისხიან ჰიბრიდებს: იზაბელას („ადესა“), ნოას („ნოვე“), აგრეთვე ჭეიშვილს და სხვა ევროპული წარმოშობის ჰიბრიდებს, რომლებსაც „ფრანგულას“ ან შეცდომით „კაჭიჭს“ ვუწოდებთ.

არაერთხელ გვითქვამს: გურიაში მევენახეობა-მეღვინეობის დაკნინების ძირითადი მიზეზია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკის კონტინენტებიდან ჯერ დასავლეთ ევროპაში, ხოლო შემდეგ საქართველოშიც ფილოქსერისა და სოკოვანი დაავადებათა შემოჭრა. იმ დროს, ცხადია, არ არსებობდა ვაზის მკურნალობის საშუალებები და ამიტომაც მასიურად გავრცელდა ე. წ. „უწამლი“ ჰიბრიდი იზაბელა („ადესა“), რომელიც მაშინ ჭრატით მცირედ ავადებოდა, ნაცარი კი პრაქტიკულად არ უჩნდებოდა.

სხვათა შორის, იზაბელა და მისი ფორმები დღესაც არის გავრცელებული კრასნოდარის მხარეში (რუსეთი), ყირიმში, ლენქორანში (აზერბაიჯანი). გვხვდება ბულგარეთში, რუმინეთში, მოლდავეთში და სხვ.

რაც შეეხება გურიაში გავრცელებულ სხვა ჰიბრიდებს: ნოე, იგივე ნოვე ან ნოველა – გურული ვარიანტი და მისი ნამდვილი სახელწოდებაა „ნოა“ – ამერიკული პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდი, ძალიან მძარე ხარისხის ვაზია როგორც საღვინოდ, ისე სასუფრედ, თუმცა უხვ-მოსავლიანი და დაავადებისადმი საკმაოდ მდგრადი.

ასევე პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდია ჭეიშვილი, რომელიც იზაბელასთან და ნოესთან შედარებით უკეთესი ხარისხით გამოირჩევა და მისგან საშუალო ღირსების ორდინალური მოხმარების ღვინო დგება. აღსანიშნავია, რომ ჭეიშვილის ღვინოს ჰიბრიდები საქართველოს სხვა რეგიონებშიც გვხვდება ქიქნურას, დირბულას, ჯიბრიდას (ან გიბრიდას), ფრანგულას, სებელის, ვაქირულას და სხვათა სახელწოდებით. ესენი გამოყვანილია სელექციონერების: კულდურკის, ზეიბელის და სხვათა მიერ.

ჩვენს რეგიონში მევენახეობის დაკნინებაში, გარდა ზემოაღნიშნულისა, დიდი როლი შეასრულა ასევე სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ, ჩაის მონოკულტურის დამკვიდრებამ, ასევე არატრადიციული მცენარეების (მაგალითად, ციტრუსის) გაშენებამ. უბრალოდ, ვაზისათვის ადგილი არ დარჩა.

საბედნიეროდ, ბოლო წლებში ქვეყანაშიც და რეგიონშიც ძალიან გაიზარდა მოთხოვნა ადგილობრივი მაღალხარისხიანი პროდუქციის მომცემი ჯიშებისაგან მიღებული ღვინოებისა და სუფრის ყურძნისადმი. დღეისათვის გურიაში მასობრივად შენდება ახალი ვენახები. ძირითადი მოთხოვნაა განთქმულ ვარდიანურ ჩხავერზე და ჩვენ მიერ მოძიებულ თეთრყურძნიან საკმეილაზე, აგრეთვე სხვა ჯიშებზეც.

ჩხავერის ღვინის მაღალი ხარისხი და საგემოვნო თვისებები საყოველთაოდაა ცნობილი. ამიტომ, მასზე აღარ შეგჩერდებით. რაც შეეხება საკმეილას (სინონიმები: საკმეველა, საკმეილი, საკმელა), იგი ადრე ფართოდ იყო გავრცელებული მთელ გურიაში, განსაკუთრებით მთისძირა სოფლებში. იძლევა მაღალხარისხიან ღვინოს, უხვმოსავლიანია (ერთი ძირის საშუალო მოსავლიანობა მაღლარზე 70 კილოგრამამდე აღიონდა), არ ახასიათებს მეწვეურობა, შედარებით ადრეულად მოსავლიანია (იკრთება ოქტომბრის პირველ რიცხვებში). ასე რომ, საკმეილა გამოირჩევა უნდა გავრცელდეს მასიურად.

ჩვენ გვქონდა კონსულტაციები საქართველოში ამ დარგის წამყვან სპეციალისტებთან და დღეისთვის შემორჩენილი თუ მოძიებული გურული ენდემური ჯიშებიდან გამოვარჩიეთ მოსავლიანობისა და ხარისხის ნიშნით საუკეთესოები, რომლებიც უნდა გავრცელდეს ფერმერულ მეურნეობებში. ესენია:

წითელყურძნიანი: სხილათუბანი (საღვინე), მტევანდიდი (საღვინე), ორონა (საღვინე); ალადასტური (სუფრის - საღვინე), მტრედისფეხა (საღვინე);

ვარდიანურყურძნიანი: ჩხავერი (საღვინე - სუფრის), ბადაგი (საღვინე - სუფრის);

თეთრყურძნიანი: საკმეილა (საღვინე), თეთრი კამური (საღვინე - სუფრის), ათინაური (საღვინე სუფრის), თეთრი ჩხავერი (საღვინე), კლარჯული (სუფრის).

აღსას, ნოვეს და სხვა ჰიბრიდების ჩანაცვლება ადგილობრივი ჯიშებით სასურველია მოხდეს თანდათან, ანუ ცალკეულ ოჯახებში დღეს არსებულ ტალღავერებზე, ან ოლიხნარზე (თუნდაც დაბლარზე) ვაზებს შორის შუალედებში უნდა დაირგოს ახალი ნერგები, რომლებიც სათანადო მოვლის პირობებში 2-3 წელიწადში მომდგარდებიან და უმტკივნეულოდ ჩანაცვლებენ არსებულ ჰიბრიდებს, ხოლო თუ ცალკე ნაკვეთზე შენდება ვენახები, ეს კიდევ უკეთესია.


თუ გვინდა მაღალხარისხიანი ღვინო და სუფრის ყურძენი ვაჭარობით, უნდა გავითავისოთ ელემენტალური ჭეიშვილი: მევენახეობაში ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდა ხეზე მიშვებული ვაზის ეპოქა. ხეზე ვაზს სრულყოფილად ვერც გასხლავ და ვერც შეწამლავ. ე. წ. „უწამლი ვაზი“ კი უმეტეს შემთხვევაში დაბალხარისხიან პროდუქციას იძლევა და როგორც მეცნიერები გვარწმუნებენ, ტოქსინებსაც შეიცავს.

დღეს გურიაში სავსებით შესაძლებელია ვაჭარობით მაღალხარისხიანი და კონკურენტუნარიანი ღვინო და სუფრის ყურძენი.

ამას აკეთებდნენ ჩვენი წინაპრები, უნდა გავაკეთოთ ჩვენც! მითუმეტეს, რომ დღეს საქართველოში ტურიზმი აღმაშენებელი ვითარდება. ეს კი წარმოუდგენელია ხარისხიანი ღვინოსა და სუფრის ყურძნის გარეშე.

ანდრო ვაშალიანი,
მევენახე, ასოციაცია გურული ვაზის თავმჯდომარე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქე.

ვაზის პაცი



სოსო ხინთიბიძე, როგორც ვაზის კაცზე, არაერთხელ დაწერია და დაიწერება კიდევ. ეს ის პიროვნებაა, რომელიც მშობლიურ ქაქუთში, რაც თავი ახსოვს, რუდუნებით უვლის ვაზის აბორიგენულ ჯიშებს. მის საკარმიდამოში, რომლის სავიზიტო ბარათია მამაპაპისეული მარანი, 20-მდე ჯიშის ვაზია. ჩხავერი, საკმეილა, კლარჯული, თეთრი და შავი კამური, ქაქუთურა, თეთრი მაური, სამარხი, ტაკიბურა, ჩხავერი, მტრედისფეხა, ჭუმუტა, ალიგოტე, ბათუმურა, სხილათუბანი, მტევანდიდი, ჯანი, ცივანა, ხუშია, წითლანი, ორონა... – ეს არასრული ჩამონათვალია სოსოს კოლექციისა, რომელსაც მხოლოდ საკოლექციო დანიშნულება არ აქვს. უმრავლესობიდან სოსო უკვე რთველიანობს და ღვინოსაც წურავს.

ოქტომბრის ბოლოსწინა დღეს მხოლოდ იზაბელა დაკრიფა, როგორც გვითხრა, სხვა ჯიშების დაკრიფვა არ არის საჩქარო, ყურძენი კარგი მწიფე უნდა იყოს. რთველზე სხვაგანაც ვყოფილვართ, მაგრამ მსგავსი კოლო-

რიტული გარემო არსად გვინახავს. სანადო არაფერი ჰქონდა, მაგრამ თავისი განუყრელი მეგობრების ვახტანგ მამინაშვილისა და გელა ქავთარაძის გარეშე წლის მოსავალს როგორ შეხვებოდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თითო გიგანის დაკლას მინიმუმ თითო გურული იუმორი მაინც მოყვებოდა, ადვილი წარმოსადგენია, რა მხარული როველი ჩატარდა. ყურძნის დაკრეფის რიტუალი, რასაკვირველია, მარანიში გაშლილი სახელდასხლო პურმარლით დამთავრდა. მასპინძელმა შარშანდელი საკმეილა, კამური, კლარჯული და „ბუზის არაყი“ დაგვეჭაშნიკებინა, ხოლო შემდეგ იგი ე. წ. „თაივლით“ – რამდენიმე ჯიშის ვაზის ნაჟურის შერწყმით მიღებული ღვინით გაუძღვა სუფრას.

სოსო ხინთიბიძე ყოველწლიურად მონაწილეობს საოჯახო ღვინოებისა და მარნების ფესტივალში, რომელსაც ბათუმ-ლაზეთის ეპარქია ატარებს და რომელშიც თითქმის მთელი საქართველოს მევენახეები და მეღვინეები მონა-



აწილეობენ. დაუვიწყარი იყო მისთვის 2011 წელი, რადგან მისმა ჭურ-მარანიამ ამ ფესტივალზე ერთ-ერთი მთავარი პრიზი „საუკეთესო მარანი დაიმსახურა“, რასაც შესაბამისი ჯილდოც მოყვა. შემდგომ ფესტივალზე მისმა „ტაკიბურამ“ და „ალიგოტემ“ ჟიურისგან დიდი მოწონება დაიმსახურა.

სოსო ხინთიბიძის კარმიდამო თვალსაჩინოა სხვა მხრივაც. სანიმუშოდ მოვლილ ეზოში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მანდარინს, სხვა გურულ ხეხილოვან კულტურებს. აქ ნახავთ ისეთ უძველეს და სამკურნალწამლო დანიშნულებით უძვირფასეს მცენარეს, როგორცაა ტყის მოცივი, რომლისგანაც ეს მეურნე კაცი საკმაოდ კარგ მოსავალს იღებს.

აქვეა გაშენებული ყვავილოვანი მცენარეები, საქმე ისაა, რომ სოსო წარმატებით ეწევა მეფუტკრეობასაც, თანაც ორიგინალურად, ორსექციანი სკებით.

სოსო დანარჩენი ვაზის ჯიშების რთველს ნოემბრის ბოლოს აპირებს.

რას ვერს ღიზა ბრანიკი ღვინოში "საქართველოს ღვინოები", „მენაბლის მარანის“ შესახებ



„კიდევ ერთი ახალი პროექტი, რომელსაც დიდი პოტენციალი აქვს, მენაბლის მარანია, შემოქმედში (ოზურგეთი, გურია). როგორც ჩანს, ურწყავ, სწორ ნიადაგზე გაშენებული ვენახი, იმ ყურძნის ჯიშების ისტორიას ინახავს, რომლებიც აქ მანამ მოყავდათ, ვიდრე მას ჩაითა და სიმინდით ჩანაცვლებდნენ. მარნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძველი ჭური, მეღვინეობის ტრადიციას ადასტურებს. ვენახი ორგანულად მუშავდება, ხოლო მიწის მჟავიანობის დასაწვეად, კირს იყენებენ. ზერები გაშენებულია ჩხავერისა და საკმეილას ჯიშის ყურძნისგან. ღვინოს

კოსტად მოწყობილ, დასურულ მარანში, უყანგავი ფოლადის ცისტერნებსა და ჭურებში აყენებენ. როგორც წესი, განსაკუთრებულ ინტერესს ეს უკანასკნელი იწვევს. ჩხავერისგან სხეულიანი და ტანინიანი ღვინო დგება. მის არმატებში წითელი მოცხარისა და შინდის, ან მინერალებით გაჯერებული, უხეში, კვამლის ტონები ჭარბობს და ღვინოც უფრო მუქია, - ეს დაძველებაზე დამოკიდებულია. აქ ღვინოს გათვლის მსურველთათვის, რამდენიმე მიმზიდველი და მუდრო სასტუმრო ოთახიცაა მოწყობილი.“

